# 3

# ქართული

## მოსწავლის წიგნი

ნაწილი I

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



# შინაარსი

## თავი 1.


**წიგნი** . . . 7

**თეორია.** გამოცანა . . . 8
*** *(თეთრი ხნული, შავი თესლი) ხალხური* . . . 8
*** *(უენოა, მაგრამ უხმოდ) აკაკი წერეთელი.* . . . 8
წიგნი ვის ეკუთვნის? *იაკობ გოგებაშვილის მიხედვით.* . . . 9
ქართული ანბანი (ნაწყვეტი) *აკაკი წერეთელი.* . . . 10
**თეორია.** ანბანი . . . 10
**გრამატიკა.** ასო და ბგერა. . . . 12
ძვირფასი ყუთი. . . . 13
**თეორია.** პოეტი, ლექსი, რითმა . . . 14
როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას (ზღაპარი) *დონალდ ბისეტი.* . . . 16
დედა წერტილი და შვილი წერტილი *დონალდ ბისეტი* . . . 19
**გრამატიკა.** სიტყვა და წინადადება . . . 22


## თავი 2.


**ცხოველები წიგნებში** . . . 23

წერო და მელა (იგავი) *ეზოპეს მიხედვით.* . . . 24
**თეორია.** აბზაცი, იგავი . . . 25
სამი მგელი *ხალხური* . . . 26
**გრამატიკა.** სიტყვის მარცვალი . . . 27
დათვი და მელია *ხალხური* . . . 28
**გრამატიკა.** ზმნა და არსებითი სახელი . . . 31
მარტოჭამია დათვი და მელა *ხალხური* . . . 32
**გრამატიკა.** სულიერი და უსულო არსებითი სახელები . . . 33
მთაში მოსულა ზამთარი *პაოლო იაშვილი* . . . 34
**გრამატიკა.** სიტყვის გადატანა . . . 35

სათაგური *ვაჟა-ფშაველა* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 36
**გრამატიკა.** ვინ? თუ რა? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40
კეთილი ბებერი ბუები *რევაზ ინანიშვილი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 41
არწივი *ვაჟა-ფშაველა* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 43
**თეორია.** ფსევდონიმი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 44
ფუღურო *რევაზ ინანიშვილი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 45
**გრამატიკა.** მხოლობითი და მრავლობითი . . . . . . . . . . . . . . . . 48
ჭკვიანი ძაღლები (ნამდვილი ამბავი) *იაკობ გოგებაშვილი* . . . . . . . 49
ჭკვიანი ბასარა *იროდიონ ევდოშვილი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 51

## თავი 3.

**ძალა ერთობაშია** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 53

გვრიტი (ზღაპარი) *ხალხური* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
**გრამატიკა.** გასულიერება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 57
ძალა ერთობაშია (იგავ-არაკი) *სულხან-საბა ორბელიანი* . . . . . . . . . 58
**გრამატიკა.** არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი . . . . . 59
სპილო და ჭიანჭველები (იგავ-არაკი) *იაკობ გოგებაშვილი* . . . . . . . 60
ჩონგური *აკაკი წერეთელი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 63
**თეორია.** სტროფი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 64

## თავი 4.

**თქმულებები და მითები** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 65

ამირანი. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 66
ლახტიანი კოპალა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 68
**გრამატიკა.** არსებითი სახელის ბრუნება . . . . . . . . . . . . . . . . . 69
არიადნეს ძაფი (ძველი ბერძნული მითის მიხედვით) . . . . . . . . . 70
**გრამატიკა.** არსებითი სახელის კუმშვა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 75

## თავი 5.

**ჩვენ და ბუნება** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 76

ყმაწვილი და პეპელა *აკაკი წერეთელი*. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 77
ტყე და მისი დიდი მნიშვნელობა *იაკობ გოგებაშვილი*. . . . . . . . . . . . 78
**გრამატიკა.** არსებითი სახელის კვეცა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 80
ბეთანიის გზაზე *ანა კალანდაძე* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81
*** *(ატყდა ქუხილი) გალაკტიონ ტაბიძე* . . . . . . . . . . . . . . . . . . . 82
მეხი (მოგონება) *იაკობ გოგებაშვილი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 82
ბუნება ვაჟა-ფშაველას ლექსებში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 84
გიორგობისთვის დღე *აკაკი წერეთელი*. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 85
**გრამატიკა.** მიმართვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 86
ზღვები რატომ არ ივსება და ნაპირებიდან
არ გადმოდის *იაკობ გოგებაშვილი*. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 87
**გრამატიკა.** ბევრი თუ ცოტა? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 89
ქართლის გზაზე *ლადო ასათიანი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 90
ნაძვის ცრემლები *იროდიონ ევდოშვილი* . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 91

# თავი 1-ლი



# წიგნი

## აქ შეისწავლი...

**თეორია.** გამოცანა
- *** *(თეთრი ხნული, შავი თესლი)*
- *** *(უენოა, მაგრამ უხმოდ)*
- წიგნი ვის ეკუთვნის? (მოთხრობა)
- ქართული ანბანი (ნაწყვეტი)

**თეორია.** ანბანი

**გრამატიკა.** ასო და ბგერა

- ძვირფასი ყუთი

**თეორია.** პოეტი, ლექსი, რითმა, წიგნები
- როგორ სწავლობდა გოჭი ფრენას (ზღაპარი)
- დედა წერტილი და შვილი წერტილი

**გრამატიკა.** სიტყვა და წინადადება

***

თეთრი ხნული, შავი თესლი,
თესლი მთესველს ეუბნება.
ხალხური

***

უენოა, მაგრამ უხმოდ
ბევრი რამ კარგის მთქმელია,
სულელის დაწუნებული,
ჭკვიანის სანატრელია.
აკაკი წერეთელი

ამ გამოცანებს ერთი და იგივე პასუხი აქვს. გამოიცანი!

**უპასუხე კითხვებს**

1. პირველ გამოცანაში რომელი მინიშნება მიგვახვედრებს სწორ პასუხს?
2. მეორე გამოცანის პასუხს ყველაზე მეტად რამ მიგახვედრა?

**დაწერე**

3. შეადგინე წინადადება, რომელშიც ამ გამოცანათა პასუხს გამოიყენებ და რვეულში ჩაწერე.

## თეორია გამოცანა

შენ ალბათ ბევრი გამოცანა იცი და ახალი გამოცანების გამოცნობაც გიყვარს. ალბათ, ისიც შეგინიშნავს, რომ ზოგიერთი გამოცანა ლექსად არის გამოთქმული.

გამოცანის პასუხი ყოველთვის წინასწარ არის ჩაფიქრებული და გამომცნობმა სწორედ ეს პასუხი უნდა თქვას.

**გამოცანა გერგება!** – ეუბნებიან მას, ვინც სწორ პასუხს პირველი გამოიცნობს.

# წიგნი ვის ეკუთვნის?

(მოთხრობა)

ერთი მოხუცი კაცი გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან თავის ვაჟებს სხვა ქონებასთან ერთად „ვეფხისტყაოსანიც“ დაუტოვა. ძმები წაიჩხუბნენ. ორივე ცდილობდა, წიგნი მას დარჩენოდა. მოდავე ძმებს მეზობელმა უთხრა:

– თქვენ უთუოდ ძლიერ გიყვართ კითხვა და ბევრი წიგნიც წაგიკითხავთ, რადგან მის გამო ასე ჩხუბობთო.

ძმებმა თავები დახარეს. მათ ვერც ერთი წაკითხული წიგნი ვერ გაიხსენეს, რადგანაც წიგნებს არ კითხულობდნენ!




– მაშ, თქვენ იმ ორ სასაცილო კაცს ჰგავხართ, თავზე თმა რომ აღარ ჰქონდათ და სავარცხლის გამო ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენო, – ჩაილაპარაკა მეზობელმა.

იაკობ გოგებაშვილის მიხედვით

**ავტორი** ლათინური სიტყვაა და რაიმე ნაწარმოების შემქმნელს ნიშნავს.

### უპასუხე კითხვებს

1. სხვა ქონებასთან ერთად, რა დაუტოვა ვაჟებს მოხუცმა მამამ?
2. როგორ მოიქცნენ ძმები?
3. რა უთხრა მათ მეზობელმა?

### იმსჯელე

4. შენი აზრით, რატომ დახარეს ძმებმა თავები? შეარჩიე სწორი პასუხი.
   - **შერცხვათ, რომ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ;**
   - **შერცხვათ, რომ წიგნებს არ კითხულობდნენ.**
5. ვის შეადარა მოჩხუბარი ძმები მეზობელმა?
6. დააკვირდი ილუსტრაციას. ვინ არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი?

### დაწერე

7. უპასუხე ამ მოთხრობის სათაურს და პასუხი რვეულში ჩაწერე.
8. სიტყვა „ავტორის“ გამოყენებით წინადადება შეადგინე.

1 ნაწილი

# ქართული ანბანი
(ნაწყვეტი)

ყმაწვილო, თუ გსურს, გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ კითხვა უნდა ისწავლო:
პირველი ასო არის ა...

აკაკი წერეთელი

**უპასუხე კითხვებს**

1. რას მიგანიშნებს სათაურის ქვეშ მიწერილი სიტყვა „ნაწყვეტი“?
2. რას აღნიშნავს სიტყვა „სამშობლო“?
   - **მშობლიურ ქვეყანას;**
   - **მშობლიურ ქალაქს;**
   - **მშობლიურ ენას.**
3. წაიკითხე ბოლო სტრიქონი. რას გულისხმობს ავტორი?

## თეორია ანბანი

მიმდევრობით დალაგებულ ასოებს **ანბანი** ეწოდება. ქართულ ანბანში ოცდაცამეტი ასოა. ქართული ანბანის ასოები ყველა სხვა ანბანის ასოებისაგან ძალიან განსხვავდება.

რუსული ანბანის ასოები: **а б в г д е...**
ინგლისური ანბანის ასოები: **a b c d e f...**
ბერძნული ანბანის ასოები: **α β γ δ ε ζ...**

**უპასუხე კითხვებს**

1. რომელია ქართული ანბანის პირველი ასო? ბოლო ასო?
2. რამდენი ასოა ქართულ ანბანში?
3. გარდა ქართულისა, კიდევ რომელი ანბანი იცი?

**დაწერე**

4. ამოიწერე ქართული ანბანის მეხუთე, მეშვიდე და მეთოთხმეტე ასოები.
5. მოიფიქრე ხუთ-ხუთი სიტყვა, რომლებიც ამ ასოებით იწყება.

# სახალისო ანბანი

**ა** ვაზა
**ბ** ელურა
**გ** ველი
**დ** ათვი
**ე** ნოტი
**ვ** ირი
**ზ** ღარბი
**თ** აგვი
**ი** რემი
**კ** აკაბი
**ლ** ომი

**მ** იმინო
**ნ** იანგი
**ო** ბობა
**პ** ინგვინი
**ჟ** ირაფი
**რ** აში
**ს** პილო
**ტ** ურა
**უ** ლაყი
**ფ** ოცხვერი
**ქ** ორი

**ღ** ორი
**ყ** ანჩა
**შ** აშვი
**ჩ** ოჩორი
**ც** იყვი
**ძ** ერა
**წ** ერო
**ჭ** იაყელა
**ხ** ვლიკი
**ჯ** ორი
**ჰ** იპოპოტამი

- მასწავლებელთან ერთად მოიძიე ლექსიკონში, როგორ არის განმარტებული სიტყვები: **რაში, ულაყი.**
- სხვაგვარად რას ვუწოდებთ ჰიპოპოტამს ქართულ ენაში?